ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

6 ივნისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№23 (9337)
ფასი 40 თეთრი

დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, მაისში 1 153 ბენეფიციარს 346 145 ლარის დახმარება გაეწია.

მათ შორის:

181 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 159 430 ლარი გამოიყო; 95 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 17 483 ლარით დაფინანსდა; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 34 პაციენტი 31 212 ლარით დაფინანსდა; 109 მრავალშვილიანი ოჯახი 26 200 ლარით დაფინანსდა; 304 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 340 ლარით დაფინანსდა; 100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს 200 ლარი ჩაერიცხა; ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 18 წლამდე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, ჯამში 7 700 ლარი ჩაერიცხათ.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

გზას დაგილოცავთ მომავლისაკენ

30 მაისს წაღვერის კულტურის სახლში გაიმართა სოლო კონცერტი, რომლის მონაწილენი იყვნენ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების სახლთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლ ,,ბორჯომის“ წევრები და ,,პატარა ბორჯომელების“ მიერ შესრულებული ფოლკლორული სიმღერები, ხოლო ანსამბლების სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელია ლოტბარი ბატონი გიორგი (გოგიჭა) ბუგიანიშვილი.

ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა გულგრილი არავინ დატოვა. ახლადაშენებული და კეთილმოწყობილი წაღვერის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზი მაყურებლებით იყო გადავსებული. თითოეული სიმღერის შესრულების შემდეგ მქუხარე ტაში და ოვაციები დიდხანს გრძელდებოდა.

ასეა ყოველთვის, როცა სცენაზე გამოდიან მაღალი დონის შემსრულებლები. მაყურებლები ტაშს უკრავდნენ შესანიშნავად შესრულებულ სიმღერებს, ხალხურ მელოდიებს.



არაერთხელ ხმამაღლა გაჟღერდა სამადლობელი სიტყვები ანსამბლის წევრებისა და მისი ხელმძღვანელის მისამართით.

- ძლივს არ გვეღირსა შესანიშნავად შესრულებული ფოლკლორული სიმღერები - ამბობდა ჩემს უკან მჯდომი მამაკაცი, მეორემ დაუმატა, ასეა ძმაო, როცა ანსამბლს აღიარებული ხელოვანი უდგას სათავეშიო.

ანსამბლის რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანი იყო. მარტო შესრულებული სიმღერების სათაურები კმარა აღტაცებისათვის. ,,თუ ასე ტურფა იყავი“, ,,ჩონგურო, ჩემო ჩონგურო“, ,,სატრფიალო“ და მრავალი სხვა ცნობილი სიმღერები შესრულდა, მაგრამ მაყურებლების ოვაციები და აღფრთოვანება გამოიწვია ანსამბლ ,,პატარა ბორჯომელების“ გამოჩენამ, რომლებიც კულტსახლის ვეებერთელა სცენაზე ვერ ეტეოდნენ. დიდებიც და პატარებიც ტრადიციულ ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილები, რაც კიდევ უფრო საზეიმო და საამაყო ატმოსფეროს და განწყობას ქმნიდა დამსწრე საზოგადოებაში. თურმე როგორ მოგვნატრებია ქართული ხალხური სიმღერები. სწორედაც ესაა ქართველთა იდენტობა წარსულისადმი, ქართული ფოლკლორი გუშინ და გუშინწინ არ შექმნილა, ხალხურმა სიმღერებმა საუკუნეებს გაუძლო და ჩვენამდე მოვიდა.

ბატონმა გოგიტამ ერთ წელიწადში შექმნა ბიჭუნების შესანიშნავი და მრავალრიცხოვანი ანსამბლი, გვწამდეს, პატარა მომღერლები არაერთხელ გვასახელებენ და დაგვატკბობენ შესანიშნავი ქართული სიმღერებით.

ღონისძიებას სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **დავით ვარდიაშვილი**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, ადგილობრივი თვითმართველობის წევრები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

P.S. ჩემი ,,ახირებული“ დიდი ხნის ოცნება ბატონმა გოგიტამ შეასრულა. დიდიხანია ვოცნებობდი და ვწერდი, შექმნილიყო ბიჭუნათა ანსამბლი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო საშველი არ დაადგა ჩემი წინადადების რეალიზაციას.

კულუარულ შეხვედრებში ბატონ გოგიტასაც გავუმხილე ჩემი სურვილი. ანსამბლის შექმნა უკვე დავიწყეო, იმედიანად მითხრა ბატონმა გოგიტამ და ჩემი ოცნებაც ასრულდა. პატარებმა გემო გაუგეს ქართულ სიმღერებს, მწამს, ისინი ბევრჯერ დაატკბობენ მსმენელებს, ქართულ სიმღერებთან ერთად არც სამშობლოს და არც მის ისტორიას არ დაივიწყებენ.

ბედნიერ გზას დავულოცავ მომავლისაკენ ანსამბლის ხელმძღვანელს და მის შეგირდებს.

ვალერიან ლომიძე.

საზეიმოდ აღინიშნა ბავშვთა დაცვის დღე

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა გასართობი შოუ-პროგრამით აღინიშნა.

ღონისძიება სპორტული ნაწილით დაიწყო, მხიარულ სტარტებში ერთმანეთს ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის მოსწავლეები ეჯიბრებოდნენ.

შემდეგ კი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე კულტურული აქტივობებით გაგრძელდა. ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლების მონაწილეობით გამართული კონცერტის შემდეგ, „რანინას“ მონაწილეობით გალა-კონცერტი გაიმართა.

პატარების საზეიმო განწყობაზე მთელი დღის განმავლობაში მხიარული ანიმატორები და ცოცხალი ქანდაკებები ზრუნავდნენ. მოეწყო ფოტო კუთხეებიც.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ადგილობრივებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** მიულოცეს. შემდეგ კი, მათ წარმატებული მუსიკოსები და სპორტსმენები დააჯილდოვეს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ყველა პატარას ულოცავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ბედნიერ მომავალს უსურვებს!

ბაკურიანში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საზეიმოდ აღინიშნა. ცივი ამინდის მიუხედავად ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე დილიდან ხალხმრავლობა იყო. ღონისძიება დაიწყო მუყაოს ნაკეთობების და ნახატების გამოფენით, რომლებიც ბაკურიანელმა, ციხიჯვრელმა და ანდეზიტელმა ბავშვებმა წარმოადგინეს. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები სიგელებით დაჯილდოვდნენ. იქვე წარმოდგენილი იყო ფოტოზონა ზღაპრის გმირებით. კონკურსის შემდეგ მაყურებლის წინაშე სიმღერისა და ცეკვის ნომრებით წარდგნენ: ბაკურიანის, ანდეზიტის, ციხისჯვრის სკოლების მოსწავლეები, ბაკურიანის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და მაკოს სტუდიის მომღერლები. ღონისძიების ბოლოს „ზიზი ლენდის“ ანიმატორებმა ცეკვა-თამაშით გაახალისეს ბავშვები. მთელი დღის განმავლობაში პარკში წარმოდგენილი იყო ..ვანოს ბაღის“ ყვავილების გამოფენა-გაყიდვა. ყველა ბავშვმა ღონისძიების სპონსორებისაგან საჩუქრები მიიღო.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოსა“ და კულტურის და ხელოვნების ცენტრთან არსებული ბაკურიანის საბავშვო სექტორის ხელმძღვანელთან ერთად ბავშვთა დაცვის დღის გალამაზებასა და სადღესასწაულო განწყობის შექმნაზე იზრუნეს ქართულმა კომპანიებმა: ქართული კარტოფილის ჩიფსი-ფრიქსი; ლოკო-მოკო; ბარამბო და IDS ბორჯომი.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: სსიპ "ბაკურიანის განვითარების სააგენტო"; ბაკურიანის რეკრეაციული პარკის ადმინისტრაცია; ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ ბორჯომის კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბაკურიანის სექტორი.

ღონისძიების მხარდამჭერები: ეკატერინე ორჯონიკიძე; სამშენებლო კომპანია „არქტური“, „ჩიფსი-ფრიქსი“, „ლოკო-მოკო“; „ბარამბო“; „შემოქმედი“; „IDS ბორჯომი“.

„ადამიანები ბორჯომიდან“

კომპანია „ბორჯომის“ ახალი პროექტი

„ბორჯომის“ მინერალური წყლების კომპანია ფოტოგრაფ ნათელა გრიგალაშვილთან ერთად, უკვე რამდენიმე თვეა ფოტოისტორიებით გვაცნობს - ადამიანებს ბორჯომიდან. პროექტი შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ მოქალაქეებს, რომლებიც ბორჯომის ყოველდღიურობას ქმნიან და რომელთა გარეშეც, ამ ქალაქს მოცემული სილამაზე და ბუნებრივი ხიბლი არ ექნებოდა.

საბაგიროს გამცილებელი ოთარ ნინოშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ქალი მფრინავი ნადია ბენკლიანი, მხატვარ-დიზაინერი თანგული ორთოიძე, ქალაქ ბორჯომის დამსახურებული არქიტექტორი მარიკა გელაშვილი, ბორჯომის მინერალური წყლების მთავარი ინჟინერი თემურ ქაკანაძე, ჯუმბერ და ლიდა ჯაფიაშვილები - წყვილი სოფელი დაბიდან, მხატვარი ბესიკ არბოლიშვილი და პროექტის აპრილის გმირი მსახიობი - სალომე მიქელაშვილი უკვე მოხვდნენ ნათელა გრიგალაშვილის ფოტოობიექტივში. მათ ყველას ჩვენი ქალაქის განსაკუთრებული სიყვარული და ერთგულება აერთიანებთ.

ნათელა გრიგალაშვილი, ფოტოხელოვანი:

პირველად მიწევს ბორჯომში მუშაობა. ეს ადამიანები საინტერესო არიან როგორც თავისი პროფესიით, ასევე ცხოვრებითა და დიდი სიყვარულით, რომელიც მათ გააჩნიათ საყვარელი ქალაქის მიმართ. აღტაცებული ვარ ულამაზესი ადგილებით და თითოეული გმირით, რომელიც ამ პროექტმა გამაცნო.

ნანიკო კუპრაშვილი, **კომპანია „ბორჯომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:**

- კომპანია „ბორჯომი“ და ფოტოგრაფი ნათელა გრიგალაშვილი წარმოგიდგენთ ისტორიებს ადამიანებზე ბორჯომიდან. მათზე, ვინც ქმნიან ამ ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას და იმ გარემოს, რომელიც ასე ძალიან გვიყვარს ყველას.

ყოველ თვეს ჰყავს თავისი გმირი. ჩვენ გვსურს, რომ ეს ადამიანები და მათი ისტორიები გავაცნოთ და გავუზიაროთ მთელ საქართველოს.

ნინი გოგოლაძე, **კომპანია „ბორჯომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი:**

- პროექტი აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, მათ შეხვდებით ყველგან ბორჯომის ცენტრალურ-ისტორიულ პარკში, თეთრ ხიდზე, საბაგიროზე, თეატრის სცენაზე. ამ ფოტოისტორიებს „ბორჯომთან“ ერთად, ქმნის ნათელა გრიგალაშვილი, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პროექტის ფარგლებში წინ ბევრ საინტერესო ადამიანთან შეხვედრა გველოდება.

მოამზადა იზა იანკარაშვილმა

„ბორჯომის“ ინტერვიუ

ისტორიული პარკის ფერისცვალება იწყება

2024 წლის საკურორტო სეზონს ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი შედარებით განსხვავებულად ხვდება, პარკის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. პარკში დაწყებულია სხვადასხვა ატრაქციონების დემონტაჟი, უსაფრთოების წესების დაცვით გადაღობილია რამდენიმე ლოკაცია, ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად პარკის ადმინისტრაციის მხრიდან მიმდინარეობს სეზონისათვის მზადება. დეტალებზე ცენტრალური ისტორიული პარკის დირექტორი ბატონი ლერი გელაშვილი გვესაუბრება:



ბატონო ლერი, მართლაც განსხვავებულად ხვდებით 2024 წლის საკურორტო სეზონს. პარკში აქტიურად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, კონკრეტულად რომელი ლოკაციებია გადაკეტილი?



- სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს, პირველ რიგში დაწყებულია სადემონტაჟე სამუშაოები, ამ ეტაპზე სამი ლოკაციაა გადაღობილია უსაფრთხოების მიზნით, ,,აუზის ტერიტორია“, ,,პრომეთეს ძეგლის“ მიმდებარედ და ასევე მთლიანად ,,ზღაპრის ქალაქი“. სავარაუდოდ დაიწყება კინოთეატრის დემონტაჟიც. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სამი ლოკაციის დასრულებამდე სხვა სადემონტაჟე სამუშაოები არ ჩატარდება.

ვინ არის ტენდერში გამარჯვებული კომპანია? და რა სახის სამუშაოების ჩატარება იგეგმება 2024 წლის ბოლომდე?

- სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს, თუმცა უშუალოდ დემონტაჟზე მუშაობს რამდენიმე კომპანია, პარალელურად შეთანხმება მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, ვინაიდან ცენტრალური (ისტორიული) პარკი გახლავთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ყველა დეტალი მათთან შეთანხმებით იგეგმება. რაც შეეხება 2024 წელს ჩასატარებელ სამუშაოებს, როგორც ზემოთ მოგახსენთ, სანამ აღნიშნული ლოკაციები არ დასრულდება სხვა ლოკაციების დემონტაჟი არ განხორციელდება. ეს არის გეგმის ნაწილი, რომელიც რა თქმა უნდა, ეტაპობრივად განხორციელებას გულისხმობს.

ტურისტულ სეზონზე ხომ არ შეეზღუდებათ ტურისტებს დასვენების პირობები?

- ყველა იმ ლოკაციაზე, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს, ის ადგილები გადაღობილია და ვერც ტურისტს, დამსვენებელს თუ ადგილობრივს არანაირი შესაძლებლობა არ ექნება ტერიტორიაზე შესვლის. თუმცა შეზღუდვა არ ექნებათ, რადგანაც ისეა სივრცეები მოწყობილი და გზა გათავისუფლებული, რომ პარკის მთელ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება გადაადგილება. ასევეა პირველი მინერალური წყლის ბიუვეტის ლოკაციაც. ასე რომ, არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს, რომ ტურისტების გადაადგილებას რაიმე შეზღუდვა შეექმნათ.

ცენტრალური (ისტორიული) პარკი მხოლოდ ვიზუალური მხარე არ არის, მის გალამაზებასა და მოვლა-პატრონობაზე უამრავი ადამიანი ზრუნავს. სულ რამდენი თანამშრომელი ყავს ცენტრალურ (ისტორიულ) პარკს?

- ჩვენ გვყავს 86 თანამშრომელი, რომლებიც ემსახურებიან, როგორც ცენტრალურ-ისტორიულ პარკს, ასევე კოსტავას, წაღვერის და ცემის დასასვენებელ პარკებს. ეს ადამიანები დღედაღამ თავდაუზოგავად შრომებენ საკუთარი ქალაქის საკეთილდღეოდ. განსაკუთრებით სეზონის პერიოდში.

პარკის ადმინისტრაციის მხრიდან სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად რა სახის სამუშაოები ტარდება?

- დავასრულეთ გაწმენდითი და დასუფთავების სამუშაოები, საბაღე სკამებისა და რკინის კონსტრუქციების შეღებვა, დავრგეთ მცენარეები, ყვავილები და სხვადასხვა ნარგავები, როგორც კოსტავას ბაღში ასევე ცენტრალურ (ისტორიული) პარკში, ვემზადებით სეზონისათვის.



რომელი ატრაქციონები იმუშავებს ტურისტულ სეზონზე?

- ამ ეტაპზე მოხდა ე.წ. ,,პირატების“ გემისა და ,,ამერიკული მთების“ დემონტაჟი და სადემონტაჟოდ არის გამზადებული ,,ჯაჭვების ატრაქციონი“ და ,,ბოინგიც“. 2024 წლის სეზონზე კი სულ იმუშავებს 4 ატრაქციონი და ესენია: ,,ავტოდრომი“, ,,მინი ჯეტი“, ,,საბავშვო მატარებელი“ და ,,ბორბალი“.

რაც შეეხება რეაბილიტაციის შემდეგ ტარიფებს? იგივე დარჩება თუ შეიცვლება?

- წინასწარი ინფორმაცია აქ გვაქვს, წელს ყველა დარჩენილი ატრაქციონი ძველი ტარიფით იმუშავებს.

1 ივნისს ზაფხულის სეზონი ოფიციალურად იხსნება და შესაბამისად, ბავშვებისათვის ტარდება ღონისძიებები, რომელთა ნაწილსაც ცენტრალური (ისტორიული) პარკიც მასპინძლობს ხოლმე. წელს რა არის დაგეგმილი?

- ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ჩატარდება კოსტავას ბაღში, ხოლო ნაწილი ღონისძიებების გაიმართება ასევე ცენტრალური (ისტორული) პარკის ადმინისტარციის მიმდებარედაც.

რა ბედი ეწევა კინო-საკონცერტო დარბაზს? და ყოფილ საკურორტო დარბაზს, რომელიც ფაქტიურად, წლებია უფუნქციოდაა?

- დაგეგმილია სამომავლოდ საკუროტო დარბაზის რეაბილიტაცია-აღდგენა, თუმცა ეს სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად მოხდება თუ შემდეგ, ამის ზუსტი დრო არ არის ცნობილი, ხოლო რაც შეეხება კონოთეატრს მოხდება შენობის სრული დემონტაჟი, სადაც აშენდება ახალი შენობა და იქ განთავსდება სხვადასხვა გასართობი ცენტრი.

მასშტაბური სამუშაოების ფონზე რამდენად წარმატებულ სეზონს ვარაუდობთ?

- წინასწარი ვარაუდი საკმაოდ რთულია, წინა სეზონი წარმატებულად დავასრულეთ. რაც მთავარია, მომართვიანობა არის. ვისურვებდი წინა წლებივით წარმატებულ სეზონს.

ოფიციალურად როდისთვის დასრულდება? საბოლოოდ რა რაოდენობის თანხა დაიხარჯება პარკის რეაბილიტაციისთვის?

- პროექტი გახლავთ 2-წლიანი და თანხას რაც შეეხება, პროექტისათვის გამოყოფილია 35 მილიონი ლარი.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

საღ დავისვენოთ!

ტურისტული ბიზნესის ფასები საქართველოში

ტურისტები ზამთრის კურორტებზე მაღალი ფასების გამო ჩივიან. ბიზნესი კი ამბობს, რომ ზამთრის კურორტებზე ფასები ყველა ქვეყანაში მინიმუმ ორმაგია, ამიტომ საქართველო გამონაკლისი არაა. ამასთან, სოცქსელებში ხშირად იწერება, რომ გუდაურში კვება ძალიან ძვირია. მაგალითად, დამსვენებელს ხაჭაპურში 45 ლარი, ერთ ხინკალში 2,5 ლარი, პურში 10, პიცაში 40 ლარი, 1 ბოთლ წყალში 5 ლარი, ხოლო ჭიქა ყავაში 18 ლარის გადახდა უწევს. თითქმის ასეთივე ფასებია ბაკურიანში. საკურორტო ბიზნესის წარმომადგენლები სამასპინძლო ბიზნესში სიძვირის მიზეზად დედაქალაქიდან მოზიდული პერსონალის ხელფასსა და შორ მანძილზე დისტრიბუციის ხარჯებს ასახელებენ.

სად და როგორ დავისვენოთ, ეს კითხვა მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, თუ შინ პატარა გვყავს, რომლის ჯანმრთელობა და იმუნიტეტიც საზრუნავია. ექიმი-კურორტოლოგები გვირჩევენ.

- პირველ რიგში, ვისაუბროთ იმაზე, რისთვის არის საჭირო დასვენება. სიტყვა ,,რეკრეაცია“ ნიშნავს ძალის აღდგენას. ადამიანმა უნდა აღიდგინოს დაკარგული ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციური პოტენციალი, რომელსაც ის ყოველდღიურობაში სამუშაოზე თუ სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტაში ხარჯავს. თუ აღვადგენთ ამ სამივე ფაქტორს, ესე იგი, ორგანიზმი ძლიერია და ებრძვის გარეგან ფაქტორებს, რაც ყოველ ნაბიჯზეა.

- ბავშვისთვის მთაში დასვენება უფრო მნიშვნელოვანია თუ ზღვაში?

- მთის კლიმატი ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა ფიზიოლოგიურ ძვრას იწვევს. ჯერ ერთი, ძლიერდება იმუნიტეტი, ჟანგვა-აღდგენითი პროცესები და ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგება, რაც თავისთავად სხვადასხვა ბიოქიმიურ ძვრას იწვევს ორგანიზმში. რაც უფრო მაღლა ავდივართ მთაში, ჟანგბადის პარციალური წნევა მით უფრო კლებულობს, ხოლო როდესაც ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა მცირდება, ორგანიზმი იწყებს ძალის მობილიზაციას, რათა წონასწორობა დაიცვას. ზუსტად ამ დროს ძლიერდება ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, ჟანგბადით მომარაგება და რაც მთავარია, ძლიერდება სისხლის წარმოქმნა, ანუ სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობა მატულობს, ამიტომ მთის კლიმატი, მით უმეტეს, ზამთარში, ძალიან კარგია ისეთი ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ანემია, დასუსტებული არიან რომელიმე ინფექციური დაავადების შემდეგ ან გადაიღალნენ. აუცილებელი არ არის მაინცდამაინც ისეთ ფეშენებელურ კურორტებზე წავიდეთ, როგორიც ბაკურიანი ან გუდაურია. საქართველოში თითქმის ყველა სოფელი, სადაც არ არის მავნე წარმოებები, კურორტია, სადაც სუფთა ჰაერია, წყალი, მდინარეა, წიწვოვანი ტყეა... თბილისს გარშემო აკრავს ბავშვთა კურორტები: კიკეთი, მანგლისი, კოჯორი, საგურამო, ოქროყანა, ტაბახმელა მდებარეობს ზღვის დონიდან 800-1200 მეტრზე და არ არის ძალიან დამტვირთავი ბავშვის ორგანიზმისთვის. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ 2 წლამდე ბავშვებს 2000 მეტრ სიმაღლეზე მაღლა უჭირთ გაძლება, თუნდაც ბაკურიანში, როდესაც ბავშვი შესაძლოა საბაგიროთი გაასეირნონ. 2-5 წლამდე ბავშვის 2500 მეტრზე საბაგიროთი აყვანა არც შეიძლება, მისთვის ეს მძიმე გადასატანია. 5 წლის მერე ბავშვი უკვე ადაპტირებულია და შეუძლია ამ სიმაღლეზე ყოფნა. მაღალმთიანი კურორტები, მაგალითად, ბაკურიანი და შოვი, რომელიც 1800 მეტრზე ზემოთაა, იმ ზრდასრულ ადამიანზეც მოქმედებს, რომელსაც აქვს ჰიპერტონიული ან გულის დაავადებები.

- რამდენი ხანია დასვენების, ანუ კურორტული მკურნალობის კურსი?

- მინიმუმ 3 კვირა. ბავშვის ორგანიზმს 5-დან 10 დღემდე სჭირდება ადაპტაცია ახალ გარემოსთან. შაბათ-კვირა ინტელექტუალური და ემოციური დასვენებისათვის არის, და არა ფიზიკურისთვის, იმიტომ, რომ ორგანიზმი ვერ ასწრებს დასვენებას.

- ზღვის კურორტების სიკეთეებზეც ვისაუბროთ.

- მთის კლიმატი მარგებელია, ზღვა კი ამშვიდებს. ყველა კურორტს თავისი ჩვენება და უკუჩვენება აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომელ კურორტზე უნდა წახვიდეთ, რომელ თვეში, რამდენი დღით, რომელ სეზონზე, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტის შერჩევისას.

საუკეთესო საბავშვო ბაღი გვექნება

ბაკურიანის საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია. მშენებლობა გასული წლის შემოდგომას დაიწყო და ნოემბერში უნდა დასრულდეს. როგორი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა, ვინ არიან დასაქმებულები მშენებლობაზე, რამდენად ხარისხიანია სამშენებლო მასალა - არა მარტო, ამ და სხვა თემებზე გავესაუბრეთ ვახტანგ ზერეკიძეს, საბავშვო ბაღის მშენებლობის საქმის მწარმოებელს.

საბავშვო ბაღს აშენებს ფირმა ,,მეგა ჰოლდინგი“. მიმდინარეობს 150 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა. მშენებლობა დაიწყო გასული წლის ნოემბერში. დეკემბერში ჩაისხა საძირკველი, გაზაფხულზე დავიწყეთ კედლების ამოყვანა. ამჟამად მიმდინარეობს ბალასტის უკუჩაყრა კედლებში, ეს შემდეგ დაიტკეპნება და მოხდება ფილებით გადახურვა. მასალას გვაწვდის ,,კონტრაქტორი ფირმა, რომელიც საკუთარი

წარმოებისაა. ჩვენ ვუკვეთავთ რაც გვჭირდება მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. სამუშაოებში მხოლოდ ამინდი გვიშლის ხელს. მთელი მაისი წვიმიანი იყო და უკან დაგვწია. სხვა ყველაფერი - მომარაგება, სამუშაო გრაფიკი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ხარისხიანად კეთდება. ამინდმა თუ შეგვიწყო ხელი, სამუშაოს დროზე ჩავაბარებთ.

მუშები გარკვეულ ეტაპებზე სხვადასხვა რაოდენობით გვჭირდება. ისინი ადგილობრივებიც არიან, ხოლო სპეციალისტები მოწვეულები გვყავს . კონტრაქტორი ფირმა თვითონ აკომპლექტებს ხელშეკრულებით. სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სპეციალისტი გვჭირდება. მაგალითად, ამჟამად არ გვჭირდება მღებავები, კალატოზები. ანაზღაურებაც ფირმასთან შეთანხმებით ხდება. ზედამხედველობის სამსახური მუდმივად ამოწმებს ჩვენს მუშაობის მიმდინარეობას, გრაფიკს, ხარისხს.

რაც შეეხება საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურას და მდებარეობას - მისაღებია და დადებითი შეფასებაც აქვს.

ზაფხულის მიწურულს მეორე სართულის კედლების ამოყვანა უნდა დასრულდეს. ამინდი ძირითადად მინის სამუშაოებში გვიშლის ხელს, და შემდეგ, როდესაც სამონტაჟო სამუშაოზე გადავალთ, აღარ ვიქნებით მასზე დამოკიდებულები. ასე თუ ისე წარმატებით მივიწევთ წინ, თუმცა ოდნავ ჩამოვრჩებით გრაფიკს ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო.

ბატონ ვახტანგს საუბრის დროს ეტყობოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი თავისა და მის ქვეშევრდომებისაგან მაქსიმუმის მოთხოვნა. ჩვენი პატარების გამო მშვიდად ვარ, საუკეთესო საბავშვო ბაღი გვექნება!

რუსუდან სხირტლაძე

მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული მსახური

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტი, დანიელი (დათუაშვილი) დღეს იუბილარია.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, დიდი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს!

ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას გისურვებთ!

ოთარ არბოლიშვილი,
პატივისცემით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

მაღალყოვლადუსამღვდელოესს ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტს დანიელს (დათუაშვილი) დიდი პატივისცემით ვულოცავ დაბადების დღეს!

ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ძლიერ და ერთიან საქართველოში.

მრავალჟამიერ, ჩვენო მეუფეო!

დავით ზაალიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი ჭიათურისა სა საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიების მიტროპოლიტი დანიელი, (ერისკაცობაში დავით გრიგოლის ძე დათუაშვილი), დაიბადა 1955 წლის 29 მაისს ქალაქ თბილისში. 1963-1972 წლებში სწავლობდა თბილისის №24-ე საშუალო სკოლაში, 1972-1977 წლებში - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტზე. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს კინოკომიტეტის საგამომცემლო განყოფილებაში. 1981 წლიდან დავით დათუაშვილი მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებაში. ამავე წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. II კურსიდან სწავლა გააგრძელა ქ. ზაგორსკის სემინარიაში. 1983 წლის 4 ივნისს, წმიდა დავით გარეჯელის ხსენების დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დავით დათუაშვილი მამადავითის ეკლესიაში დიაკვნად აკურთხა.ხოლო 1985 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, დიაკვანი დავითი უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში აკურთხა მღვდლად. 1990 წელს მამა დავით დათუაშვილს მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. ამავე პერიოდში იგი დაინიშნა სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრად, ხოლო შემდეგ - სხალთის მამათა მონასტრის წინამძღვრად და ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სასულიერო აკადემიასა სემინარიაში. 1991 წლის 31 ოქტომბერს დეკანოზი დავით დათუაშვილი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად დანიელი. იმავე წელს მიენიჭა არქიმანდრიტობა. 1991 წლის ივლისიდან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარეა.

1992 წლის 22 მაისს არქიმანდრიტი დანიელი აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად. 1992 წლის 17 ოქტომბრიდან მეუფე დანიელი ოფიციალურად დადგინდა ცხუმ-აფხაზეთის მმართველ მღვდელმთავრად. ამ დროს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ურთულესი ვითარება შეიქმნა. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელოებას დროებით რეზიდენციად გამოეყო მარტყოფის მონასტერი.

1993 წლის 14 ოქტომბერს მეუფე დანიელი მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2000 წლის 28 ნოემბერს მიტროპოლიტის პატივში იქნა აყვანილი. 1995 წელს შეთავსებით დაინიშნა ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსად. 2002 წლიდან მეუფე დანიელი შეთავსებით იყო ჯერ მარგვეთის, ხოლო ამჟამად ჭიათურისა და საჩხერის ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიების მმართველია. 2007 წლის 25 დეკემბერს მიტროპოლიტი დანიელი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მეუფე დანიელი ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციას სხვადასხვა ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ შეკრებებზე. მისი ხელმძღვანელობით სამჯერ ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი ქრისტიანული ეკლესიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემებზე. მეუფე დანიელი ხშირად ხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, ანუგეშებს მათ და განუმტკიცებს იმის რწმენას, რომ ისინი აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ ისტორიულ კერას, მტრისაგან იავარქმნილ აფხაზეთს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის აღდგება ისტორიული, ტრადიციული ურთიერთობა და ჩვენი ქვეყანა კვლავ გამთლიანდება.

გულწრფელად ვულოცავთ მაღალუსამღვდელოებას მიტროპოლიტ დანიელს დაბადების დღეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას.

ბორჯომის ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ტაძრის მრევლი.

მადლობა სიყვარულისთვის

დედობა მხოლოდ შვილის ამქვეყნად მოვლინება არაა, ის იმაზე მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს დედებს, ვიდრე ერთით მეტი პიროვნების გაჩენაა. მითუმეტეს იმ ეპოქაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სადაც უამრავი ნეგატიური ინფორმაციაა გარშემო და მითუმეტეს, გვინდა თუ არ გვინდა, ამ ნეგატიურ სივრცეში სულ რომ ვეცადოთ თავის არიდებას, ჩვენი შვილები მაინც ხვდებიან. თუმცა, დედის როლი უმთავრესია და მითუმეტეს გოგონებთან ერთად თუ უფალმა ვაჟის დედობაც გარგუნა წილად, მაშინ კიდევ მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს. ყოველთვის ვცდილობ, რომ რაც შეიძლება მეტი კომუნიკაცია მქონდეს შვილებთან და რაც მთავარია, დედასთან ერთად პირველ რიგში მათი მეგობარიც ვიყო. გაკვეთილების შემდეგ, ყოველთვის ვცდილობ, ვესაუბრო ჩემ შვილებს სკოლის ამბებზე, ვეკითხები როგორ ჩაიარა მათმა დღემ და ისინიც ყოველთვის ცდილობენ, გულწრფელად მიამბონ ყველაფერი. რამდენიმე დღის წინ გაკვეთილების შემდეგ გიორგიმ სამსახურში მოირბინა ჩემთან, გაბრწყინებული თვალებით შემოაღო კარი და მეუბნება, - დედი, დღეს ქეთინო მასწავლებელმა საინტერესო რამ მოგვიყვა, ოღონდაც, მხოლოდ შენ ვერ მოგიყვები, სახლში რომ მივალთ, შენ და ბებოს ერთად უნდა მოგიყვეთ. რა გაეწყობა, ერთად მოგვიყევი, - ვუპასუხე მე. სახლში მისულმა, დედაჩემს მოუხმო თავისთან - ბებო, მოდი რა მოგიყვეთ შენ და დედიკოს. დღეს იცი რომელ მეფეზე გვიამბო ქეთინო მასწავლებელმა? - დავით აღმაშენებელზე, რომელიც 1089 წელს 16 წლის ასაკში გამეფებულა, მის დროს საქართველო ყველაზე დიდი ყოფილა, ნიკოფსიიდან - დარუბანდამდის. ყველა ბრძოლა მოუგია და თურმე სიკვდილის წინ ანდერძიც დაუწერია. დავითი გელათშია დაკრძალული. მის საფლავზე კი წარწერაა:

„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყაჯით...
საქართველოის ყოველის მპყრობელმან
ფისტერე დაჯით“...
უცემ გაჩერდა და მე გავაგრძელე:
„ფეხქვეშ გაცვითოთ საფლავის ლოდი
ყურბნის მცველმით...
-ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუცვამი.
ღირს მსახურმდი ქართელ მიწა-წყალს,
რაი გადარდემს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუმანდამდე“....
თუ, ეს მაღალთა თავმდამლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ფერსით მპოვლთა?
-ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი ყოველთა“...

ანა კალანდაძე

დავასრულე ლექსი და გიორგის ვეებერთელა გაბრწყინებულ თვალებს შევხედე. - დედი, შენ რა, ეს ლექსი იცი? გაოცებულმა მკითხა. ვიცი დედი, ვიცი, ქეთინო მასწავლებელი ხომ ჩემი მასწავლებელიც იყო და მეც ხომ მასწვალა, - იყო ჩემი პასუხი. დედი, შენ იცი, როგორ მიყვარს ჩემი ქეთინო მასწავლებელი? აი, როგორც ბებო. დედაჩემმა აცრემლებული თვალებით ჩაიხუტა, შენ გენაცვალოს შენი ბებო, ნეტავ იცოდეს ქეთინო მასწავლებელმა როგორ ძალიან გიყვარს. გულში საოცარი სითბო ჩამეღვრა, ვერ აგიღწერთ რა დამემართა, თურმე მოსწავლეს მასწავლებელი თავისი საყვარელი ბებოსავით უყვარს. დიახ, გიორგისთვის ბებო ყველაფერია. მისი დილა ბებოსთან ჩახუტებით იწყება და სიტყვებით -„ბებო ძალიან მიყვარხარ“, „შენ ჩემი დიდი დედა ხარ“ და ძილის წინაც ამავე სიტყვებით ეფერება.

ალბათ ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს პედაგოგისთვის, როდესაც მოსწავლეს უყვარს და ვიცი, რომ ეს ყოველივე სწორედაც რომ თვითონ პედაგოგის დამსახურებაა. დიახ, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ქეთევან გოგოლაძის დამსახურება. ადამიანის, რომელიც ჩემი პედაგოგიც იყო. მან მე ყველაზე მთავარი, ადამიანობა და ქართული სიტყვის მადლი მასწავლა. წლების მანძილზე კი ჩემ მსგავსად უამრავი თაობა აღზარდა და დღეს, მისთვის ჩვეულ სითბოს და სიყვარულს ჩემ შვილებსაც უნაწილებს. **მინდა დაბადების დღე მოგილოცოთ და უდიდესი მადლობა გითხრათ ჩვენთვის ძვირფასო ქეთინო მასწავლებელო, დედობრივი მზრუნველობისთვის, სითბოსთვის, სიყვარულისთვის, თქვენი პროფესიონალიზმისთვის, რომელსაც ასე უშურველად გასცემთ თქვენი მოსწავლეების მიმართ. კიდევ მრავალი წელი გელვაწოთ.**

უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით
ნატო მელიქიძე

შრომის ვეტერანი

იცნობდეთ ტელესადგურის ყოფილ უფროსს

არიან ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ, მშვიდად დადიან მშობლიური ბორჯომის ქუჩებში, თავს არავის აბეზრებენ თავიანთი წარსულით, არადა, ვიცნობ მრავალ ბორჯომელს, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეჰქონათ ბორჯომის აღმშენებლობის საქმეში, გამოირჩეოდნენ მაღალი ინტელექტით, თავიანთ სპეციალობას ფლობდნენ უმაღლეს დონეზე, ყველაფერს აკეთებდნენ მშობლიური ქალაქისა და ბორჯომელთა სიყვარულით. ბევრი ოქროსხელება ოსტატი დღეს ცოცხალი აღარაა, მაგრამ არიან შემორჩენი შრომის ვეტერანები, რომელთა საქმიანობის შესახებ მინდა ჩვენი საზოგადოების ახალგაზრდებმაც იცოდნენ, ვინ რა წვლილი შეიტანა ბორჯომის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ერთ-ერთი მათგანია ბატონი გოჩა მეტრეველი, რომელიც 84 წლისაა და დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბორჯომში სატელევიზიო გადამცემი ხაზის მშენებლობაში. წლების მანძილზე იყო სატელევიზიო სადგურიოს უფროსი, სწორედ ბატონი გოჩა იყო სატელევიზიო ხაზის ბორჯომამდე გაყვანის და სატელევიზიო სადგურის ამოქმედების აქტიური მონაწილე, რომელმაც დანვრილებით იცის, თუ რა რთულ პირობებში მიმდინარეობდა სატელევიზიო ხაზის გაყვანა და სადგურის ამოქმედება.

გოჩამ 1968 წელს დაამთავრა ბორჯომის №2 საშუალო სკოლა და თბილისის საავიაციო ქარხანასთან არსებულ ტექნიკურ სასწავლებელში დაეუფლა რადიო და ელექტრო ხელსაწყოების ამწყობი ტექნიკოსის სპეციალობას, პარალელურად სწავლა გააგრძელა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში რადიოაპარატურის მშენებლობის განხრით. მონდომებული ახალგაზრდა ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. 1967 წლიდან მუშაობდა რესპუბლიკის რადიო-სატელევიზიო გადაცემათა ცენტრში, ტელეგადაცემათა სადგურის ტექნიკოსად.

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დიდი ინტენსივობით ვითარდებოდა სატელევიზიო გადაცემები, სამწუხაროდ, თავისი რთული რელიეფის გამო ბორჯომის რაიონი მოკლებული იყო ტელეგადაცემებს.

აი რას გვიყვება გოჩა მეტრეველი:

- უაღრესად დიდი იყო რესპუბლიკის რადიო და ტელეგადაცემების ცენტრის დირექტორის ვახტანგ სალიბეგაშვილის წვლილი საქართველოს რეგიონებში ტელეგადაცემათა განვითარებაში. ამ საქმეში ჩართული იყვნენ მოსკოველი სპეციალისტები, რომლებმაც შეისწავლეს ბორჯომის რელიეფი და შეადგინეს პროექტი, რომელიც უზრუნველყოფდა ბორჯომში ტელეგადაცემების მიღებას.

სატელევიზიო ხაზი უნდა აშენებულიყო ფონას სარელეო მაგისტრალური სადგურიდან ბორჯომამდე „დიდ მინდვრამდე“, რომლის სიგრძე 40 კილომეტრი იყო და მეტად რთულ რელიეფურ ტერიტორიაზე უნდა გაევლო. პროექტი პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბახვა კუხიანიძემ დაიწუნა და რაიონის წარმოება-დაწესებულებებს დაავალა მისაღებ ტრასაზე ამოეღოთ სარელეო ხაზის ბოძებისათვის ორმოები და აეტანათ ტყის მასივებში ბოძები. ეს სამუშაოები დიდი ენთუზიაზმით შესრულდა. ხაზების მონტაჟი დაევალა ხაშურის „ეტურის“ კოლექტივს (უფროსი არსენ ხმალაძე), რომელმაც დავალებას წარმატებით გაართვა თავი.

1967 წლის 7 ნოემბერს, ბორჯომში პირველი ტელეგადაცემას სერიოზული ხარვეზებიც ახლდა, მაგრამ პირველი გამარჯვება მაინც მიღწეული იყო.

მომდევნო წლებში რადიოსატელევიზიო სატრანსილაციო სადგურის მუშაობა მნიშვნელოვნად განვითარდა და გადაცემათა ხარისხიც გაუმჯობესდა, რასაც ხელი შეუწყო „გომნის მთაზე“ სატელევიზიო სადგურის აშენებამ, რომელიც ურთულეს პირობებში შეასრულეს სასოფლო მშენებლობის უფროსის რევაზ ლურსმანაშვილის მშენებლებმა.

სატელევიზიო სადგურის ექსპლოატაციაში გაშვების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ბორჯომის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსს აწ გარდაცვლილ შალვა კალანდაძეს, აგრეთვე ბორჯომის ელქსელების სამსახურის უფროსს ზაურ ლაზარაშვილის კოლექტივს, რომელმაც საკუთარი ინიციატივით მოაწყო სატელევიზიო პუნქტის და ლაბორატორიის შემოწმება, ასევე დახმარება გაუწიეს რაიონის წარმოება-დაწესებულებების მთელმა რიგმა შრომითმა კოლექტივებმა.

1976 წლიდან ბორჯომის სატელევიზიო-სატრანსილაციო სადგურის დირექტორად დაინიშნა ბატონი გოჩა მეტრეველი, რომელიც თითქმის 30 წლის მანძილზე ერთგულად და მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა საპასუხისმგებლო მოვალეობას. დასაწყისში გოჩა იყო სადგურის უფროსი, ყოველდღიური მორიგე, მექანიკოსი და ყოველნაირი წვრილმან-მსხვილმანი საქმის მკეთებელი, რომ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, კვირეებისა და თვეების მანძილზე „გომნას მთაზე“ უწევდა მარტოდმარტო შრომა და ფაქტიურად, ცხოვრება, ნამდვილად იოლი არ იქნებოდა მისი მთაში ყოფნა და ბორჯომელთა ერთგული მომსახურება, მით უფრო, როცა ტელევიზიამ ჩვენს ოჯახებში უდიდესი სიხარული, სითბო და სიყვარული შემოიტანა.

გოჩა მეტრეველის ერთგული და უანგარო შრომა ღირსეულად დაფასდა. მიენიჭა საბჭოთა ჯარების ოფიცრის წოდება, კეთილსინდისიერი შრომისათვის არაერთხელ დაჯილდოვდა დიპლომებით და სიგელებით.

- ურთულეს პირობებში მიწევდა მუშაობა, რაც გავაკეთე და რასაც ვემსახურე ეს მშობლიური ბორჯომის და ჩემთვის საყვარელი ბორჯომელებისათვის მიძღვნილი საჩუქარია. დასაწყისი ნამდვილად რთული იყო, მაგრამ გავუძელი - მითხრა ბატონმა გოჩამ, რომელიც გულით დიდ ტკივილს დაატარებს, მეუღლის გარდაცვალების გამო.

დადის ბორჯომის ქუჩებში შრომით დამძიმებული, უაღრესად განათლებული, ნესიერი და ზრდილობით აღსავსე, ბორჯომის მოსიყვარულე და ერთგული გოჩა მეტრეველი, ხაროს ორი შვილით, 6 შვილიშვილით და 4 შვილთაშვილით, მასთან საუბარი ერთ რამედ ღირს.

ვალერიან ლომიძე.

ვულოცავთ!

მაღალყოვლადუსამღვდელოესს, ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტს, მეუფე **დანიელს** სულით, გულით და უდიდესი პატივისცემით ვულოცავ დაბადების დღეს... მეუფევ - მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს...

ვიოლეტა ბალახაშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

პოეზიის კუთხე

ამაღლება

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ და მათ თვალწინ,
და გახდნენ ისინი მოწმენი ამისა,
ქრისტე, მათთან მდგომი, ამაღლდა ზეცაში,
ამაღლდა და დაჯდა მარჯვნივ მამისა.
და მოწაფეებმა იხილეს სურათი,
როგორ მაღლდებოდა ღმერთკაცი ზეცისკენ,
გაოცებულები ცას მისჩერებოდნენ,
თუ როგორ იწევდა ის მამა ღმერთისკენ.
მანამდე, მიწაზე აღმდგარი უფალი,
უხვად ანიჭებდა მოციქულთ სიხარულს,
მუდამ გვერდით ედგა სხავლით და ნუგეშით,
წუთით არ აკლებდა სითბოს და სიყვარულს.
თუმც ქრისტე ამაღლდა, მან არ მიგვატოვა,
ციდან გამოსხივდა, დაგვიდგა დარაჯად,
სულში ჩაგვისახლდა ღმერთი სულიწმინდა,
შეგვმოსა, გვიბოძა ფარი და ფარაჯა.
და მოციქულები სასწაულებრივად,
მყის ალაპარაკდნენ სხვადასხვა ენებზე,
ეს ნიჭი მიეცათ მათ საქადაგებლად,
შუქის მოსაფენად, მსოფლიოს ერებზე.
რომ ჭეშმარიტება არს მხოლოდ უფალში,
რომ უნდა დავთრგუნოთ ყველა ცოდვა, სენი,
რომ ეს გადაარჩენს დაცემულ სამყაროს,
და რომ შესაძლოა ამაღლებაც ჩვენი.
რომ ჩვენც შეგვიძლია ავმაღლდეთ, განვიღმერთოთ,
შესაძლებელია, ჩვენ, კაცთა ცხოვნებაც,
ოღონდ იმის შემდგომ, რაც ჩვენს ჯვრებს ვიტვირთავთ,
რომ ღმერთის ქალაქში ჩვენც შევძლოთ ცხონება,
უფალი ამაღლდა, მან არ მიგვატოვა,
და სულისწმინდათი კვლავ გვმოძღვრავს, გვასწავლის,
გვიცავს, გვეფერება, დგას გულის კარებთან.
რეკს, იქნებ გავუღოთ კარები აღსავლის.
ღმერთმა გვიანდერძა: თუმც ჭირსა შიგან ხართ,
მაგრამ მიძლევია მე ამას სოფლისა,
და მე თქვენთანა ვარ, და არ მიგატოვებთ,
თქვენ, აღსასრულამდე ამ წუთისოფლისა.

ოლიკო ლომიძე.

ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ბორჯომში, ე.წ „პლატოზე"" ფეხბურთის მოედანი და ჩოგბურთის კორტები მოეწყობა.

პროექტი მიხედვით, ჩოგბურთისა და ფეხბურთის სტადიონის გარდა, ასევე მოეწყობა ფანჩატური, ტრიბუნები, საფეხმავლო ბილიკები, მცირე საყრდენი კედელი, მოაჯირი და საპარკინგე სივრცე.

დამონტაჟდება ტენისის მაგიდა და საპარკე სკამები.

სამუშაოები ადგილობრივი მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 13 მინი სპორტული სტადიონის რეაბილიტაცია განხორციელდება.

დათო სახელაშვილის გახსენება

8 ივნისს შენი დაბადების დღეა, ჩვენო დათო. 52 წლის გახდებოდი. 14 წელია უშენოდ ვხვდებით ამ ლამაზ დღეს. უდროოდ წახვედი, ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე. დედისთვის ეს ბედნიერი დღე სევდის და უზომო მონატრების დღედ აქციე. ფიქრებში და მოგონებებში გეფერებით, შენზე ლოცვაში ვინუგეშებთ თავს, ღმერთს ვავედრებთ შენს სულს. რას ვიზამთ, ცხოვრებამ ასეთი მწარე გამოცდა მოგვივლინა. ვუძლებთ, სანთლებს გინთებთ. ანი ჩვენი ხვედრი უშენოდ ცხოვრება, შენთვის დაბადების დღის აქედან მოლოცვა, თვალზე შეუშრობელი ცრემლი და გაუნელებელი ტკივილია. უფალს ებარებოდე, ჩვენო ვაჟკაცო!

შენი დედა და და

წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გერასიმე და მისი მრევლი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ტაძრის მედავითნეს მიხეილ ორჯონიკიძეს დედის

ლია ორჯონიკიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ

1997 წელს,

რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

5 ივნისი გარემოს დაცვის დღეა

გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ბუნება

1972 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 5 ივნისი გარემოს დაცვის დღედ გამოაცხადა. ამ დღეს სტოკჰოლმში გაიხსნა გაეროს კონფერენცია, რომელიც ადამიანის საარსებო გარემოს პრობლემების განხილვას მიეძღვნა.

გარემოსდაცვითი დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებას ბუნების მიმართ, გარემოს მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობას და გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა"(UNEP) ყოველი წლის 5 ივნისს უძღვნის გარემოსდაცვით ერთ-ერთ პრობლემას. წლევანდელი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღის თემაა ადამიანის კავშირი ბუნებასთან.

ადამიანები ბორჯომიდან – ისტორია №9

კობა სილაგაძე - სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსი მეტყევე

ბორჯომსა და ბაკურიანში ყველა ადამიანი ტყის სიყვარულით იზრდება, თუმცა, ზოგჯერ ეს კავშირი იმდენად ძლიერია, რომ პროფესიაც ტყეს და მასზე ზრუნვას უკავშირდება. ასე მოხდა კობა სილაგაძის შემთხვევაშიც. უკვე 14 წელია ამ საქმეს ემსახურება და მისთვის ყოველი დღე ტყეზე ფიქრით იწყება

„ეს არის საქმე, რომელიც ხალხზე და ბუნებაზე ზრუნვას აერთიანებს, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საქმით ვუფრთხილდები საქართველოს გარემოს. მეტყევის საქმე ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. მეტყევეები ამ დამოკიდებულებას ვუზიარებთ სხვებსაც. ჩვენთან ერთად ისინიც ტყის მცველები ხდებიან, უფრთხილდებიან და უხეშად არ ერევიან ტყის ცხოვრებაში. ყოველთვის ვამბობ, რომ ტყე არ არის მხოლოდ ხეთა სიმრავლე, ეს გაცილებით მეტია, სიცოცხლის წყაროა.

- დაუსრულებლად შეუძლია ილაპარაკოს ამ კავშირზე, რომელიც მის ოჯახში ჯერ ძმამ დაიწყო, შემდეგ კი კობამ გააგრძელა. ბევრი რამ უფროსი კოლეგებისგან ისწავლა, ახლა თვითონაც მზად არის ახალგაზრდებს გაუზიაროს გამოცდილება და რაც მთავარია, გაუზიაროს ტყის სიყვარული.

ყველა ხე და ადგილი მისთვის მნიშვნელოვანია, ყველა ხედი, რომელიც ამ მთებიდან იძლება თავის ისტორიას ატარებს. თუმცა, კითხვაზე, რომელია მისთვის განსაკუთრებული ადგილი, პასუხი მარტივად მისახვედრია.

- საქართველოში უამრავი ლამაზი ტყეა, მაგრამ ჩემთვის გამორჩეული მაინც ბორჯომის და ბაკურიანის ტყეებია, როგორც ყველა ადამიანისთვის, ვინც აქ დაიბადა და ამ ადგილის დიდი სიყვარულით გაიზარდა. ყოველდღე ვხედავ, როგორ იზრდება ჩემი დარგული ნერგები, რომელიც დღეს უკვე ტყის განუყოფელი ნაწილია. მათ შორის არის, კომპანია „ბორჯომის" მიერ დარგული ნერგები და აღდგენილი ტყე, ვამაყობ, რომ ყველა დარგვის მონაწილე ვიყავი.

გაიმართა ასფალტზე ხატვის კონკურსი

ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკის ინიციატივით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასფალტზე ხატვის კონკურსი „ნორჩი მხატვარი წაკითხულის ირგვლივ" გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა ბორჯომის საჯაროს სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. მათ ასფალტზე სხვადასხვა წიგნის გმირები გადაიტანეს.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ზაალიშვილი**, საბიბლიოთეკო გაერთიანების წარმომადგენლები და მხატვარ-დიზაინერი **თანგული ორთოიძე** ესწრებოდნენ.

კოლორიტი

დედასთან დამასაფლავეთო, დაუბარებია... ამაშიც მაგარი ბიჭობა გამოავლინა

დიდი ხანი არ უავადმყოფიზა. როგორც ჩანს, ორიოდე თვის წინ მძიმე სენმა თავი რომ იჩინა, უკვე გვიანი იყო.

69 წლის იყო. სააქაო ცხოვრებისთვის ბევრი არ არის. საერთოდ, არსებობს კი საკმარისი სიცოცხლე(?), რომელიც „ასაკში" ისე შაქრდება, ყოველი დღით იწყებ ტკბობას.

გამორჩეული. რთულია არ ითამაშო მთავარი გმირი, მაგრამ მაინც ასეთი დასამახსოვრებელი იყო. ტრისტანი მუდამ იყო მაყურებლის საყვარელი და დასამახსოვრებელი მსახიობი.

40 წელი რუსთაველის თეატრის სცენაზე იდგა. ტრისტანზე გაბრაზებული კაცი არავის უნახავს. იმდენი სიყვარული და იუმორი ჰქონდა. მასთან ურთიერთობას ზეიმი მოჰქონდა. მეგობრებისთვის დიდი კაცი იყო. ყველგან - სცენაზე, გასტროლზე, ცხოვრებაში იყო ნამდვილი სამეგობრო, ტრისტო, ტრისტო - ყველასთვის ასეთი იყო თეატრში.

9 მაისს, ოთხშაბათს იყო სამოქალაქო პანაშვიდი თეატრში და იგი მშობლიურ ბორჯომში გადაასვენეს... ახალდაბაში დედასთან დამასაფლავეთო, დაუბარებია. ამაშიც მაგარი ბიჭობა გამოავლინა.

დიდი არტისტი და დიდი პიროვნება დააკლდა საქართველოს.

მურმან ჯინორია.

ლეგენდები არ კვდებიან!

ასეა, ლეგენდები არ კვდებიან! **ტრისტან სარალიძის** გარდაცვალების სამწუხარო ამბავმა ყველა თაობის წარმომადგენელს ერთად მოგვგვარა თვალზე ცრემლი და გულში მწუხარება.

უყვარდა ყველას და ამას სიცოცხლეშივე გამოხატავდნენ მისადმი დამოკიდებულებით, სიყვარულითა და პატივისცემით.

პოპულარული მსახიობი ბორჯომის ხეობის საზოგადოებამ დაიტირა.

ახალდაბის იოანე ნათლისმცემელის სახელობის ტაძარში პანაშვიდზე ახალდაბის მოსახლეობა გამოემშვიდობა მათთვის ძვირფას, იუმორით აღსავსე, თბილ და გამორჩეულ პიროვნებას. აფასებდნენ და სიხარულით ხვდებოდნენ მის ყოველ გამოჩენას ქუჩაში.

მძიმე სენს ებრძვოდა, თავისებური ცხოვრებისეული ჟინით.

ვიდეო ფრაგმენტებიდან მე სწორედ მისი მცირე რგოლით დავემშვიდობე, რომელშიც ამბობს:

- დილა რომ გათენდება და სიხარული არა გაქვს კარში გამოსვლის, უკვე ბებერი ხარ. აი... დილა რომ გათენდება, დილით არ მძინავს... დილის ძილი ხომ უყვარს ბევრს. მე არ მძინავს, მინდა რომ დილით გამოვიდე და შევიგრძნო ეს ყველაფერი. ცხოვრება თვითონ უნდა გახალისებოდეს და შენ თვითონ შექმნი ამ ცხოვრებას.

ჯერ კიდევ ბავშვობიდან ახსოვს ჩემს გონებასა და თვალებს ტრისტან სარალიძე, რომელიც ჩვენთან სახლში მამასთან ვხედავდი. იქვე გვეუბნებოდნენ ჩუმად, რომ ეს ცნობილი ქართველი მსახიობია და ჩვენ კიდევ მეტი რიდით ვუყურებდით ხოლმე.

- შენ უკვდავი ხარ ჩვენო საამაყო და საყვარელო ტრისტან... ახალდაბა დიდი ტკივილით გემშვიდობება... ახალდაბის მიწა ჩაგიხუტებს სამუდამოდ გულში, ზეცას შეუერთდება ცრემლების ზღვა, მაინც იამაყებენ შენით ჩემი ახალდაბელები... - ამ სიტყვებით გააცილა უკანასკნელ გზაზე მამიდამ თინა იანვარაშვილმა სრულიად საქართველოსთვის დიდი ადამიანი.

იზა იანვარაშვილი